თამთა ჭეიშვილი
ისტორიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორები და ჩინეთთან ეკონომიკური დაახლოების პოლიტიკური ეფექტი

ანოტაცია

ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს არსებობისათვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სწორი საგარეო-პოლიტიკური მიმართულების შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება. საქართველოსთვის, როგორც პატარა და ასევე, რთული გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყნისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტური და მიზანმიმართული საგარეო-პოლიტიკური ვექტორების განსაზღვრა. ქვეყანას, რომელიც დგას, როგორც საშინაო, აგრეთვე, რეგიონული მასშტაბის გამოწვევების წინაშე, მწყობრი საგარეო კურსის გატარება სასიცოცხლოდ სჭირდება. საქართველოს, საკონსტიტუციო ვალდებულებად აქვს ქცეული, კონსტიტუციური ორგანოების მიერ, მიღებულ იქნას ყველა ზომა, ქვეყნის, ევროპის კავშირსა და ევროატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, საგრძნობლად შეიცვალა და განსაკუთრებით, მჭიდრო ეკონომიკური ხასიათის დაახლოების ტენდენციით ხასიათდება, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები, რაც გასულ წელს, ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაგვირგვინდა. ერთი მხრივ, სწრაფვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებისკენ და მეორე მხრივ, აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში დასახელებულ, გლობალური პრიორიტეტებისა და საფრთხეების ერთ-ერთ მთავარ აქტორთან – ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა, ქმნის მრავალწახნაგოვან სურათს, ქართული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, ჩინეთი, აშშ, ევროკავშირი, ეკონომიკური პარტნიორობა, პოლიტიკური ეფექტი*

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორები და ჩინეთთან ეკონომიკური დაახლოების პოლიტიკური ეფექტი

ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, წარმოადგენს სახელმწიფოს ზოგად მიზნებს, რომლებიც წარმართავენ ერთი სახელმწიფოს საქმიანობასა და ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში. საგარეო პოლიტიკის განვითარებაზე გავლენას ახდენს ამავე ქვეყნის საშინაო პოლიტიკური ურთიერთობანი, ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების საკვანძო საკითხები. ასევე, სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური ქცევა ან კონკრეტული გეოპოლიტიკური გეგმები.

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის, საგარეო პოლიტიკა, ისტორიულად, მუდმივად მიმართული იყო პოლიტიკური ლავირების გზით, თავი გადაერჩინა. *"პატარა, სუსტ ქვეყნებს, ძლიერი ქვეყნებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სინამდვილე ყოველთვის მეტ ხიფათს უქმნიდა; სუსტებს, ძლიერებთან შედარებით, არჩევანის შესაძლებლობები თითქმის ყოველთვის ნაკლები ჰქონდათ. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, სუსტი ქვეყნები, ჩვეულებრივ, საკუთარი გეოპოლიტიკური მდებარეობის "მონა-მორჩილნი" არიან – ზოგს შეიძლება ბედმა გაუღიმოს, ზოგი*

კი ძლიერ ქვეყანას მეზობლობს და მის მდებარეობას გეოპოლიტიკური თუ სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება".[1]

დღეს, საქართველო ისტორიული შესაძლებლობების გზაგასაყარზე დგას. ის მასშტაბური, გეოპოლიტიკური კრიზისები, რომლებიც, გარს აკრავს ქართულ სახელმწიფოს. დიდ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნისათვის: სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება, კონფლიქტი რუსეთსა და დასავლეთს შორის, რომელიც რუსულ-უკრაინული ომის სახით ტრანსფორმირდა, რუსეთის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა, რომლითაც იგი ცდილობს რეგიონში ექსკლუზიური გავლენის მოპოვებას, თურქეთის აქტიური მუშაობა რეგიონული როლის ზრდისთვის, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი და ირანის საშინაო პრობლემები, საერთო ჯამში, საქართველოსთვის ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას ქმნის და თუ მხედველობაში, ასევე მივიღებთ დასავლეთის მზარდ ინტერესს შავი ზღვის რეგიონის მიმართ და ჩინეთის გააქტიურებულ ყურადღებას ამავე რეგიონთან მიმართებაში, ჩნდება განცდა, რომ ქართული სახელმწიფოს წინაშე ახალი გეოსტრატეგიული კონტურები იკვეთება.

ცვალებადი უსაფრთხოების გარემოში, საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევებიდან, ყველაზე მწვავედ, დგას რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი,[2] რაც თავის მხრივ, შეიცავს უდიდეს შემაფერხებელ ფაქტორს, წარმატებული მრავალმხრივი დიპლომატიის წარმოებისათვის, მსოფლიო პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა აქტორთან, რადგან აღნიშნული საფრთხე, საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია.

საქართველოს უდავო წარმატებას წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს ევროგაერთიანებასთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. თუმცა, საგულისხმოა, ის პოლიტიკური ნარატივიც, რომ რუსეთი, როგორც მისი ხელისუფლების მიერ ოფიციალურად გაცხადებული პოზიციებიდან ჩანს, არ დაუშვებს (ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად შეეცდება) თავისი ინტერესის სფეროში არსებულ რეგიონში, არათუ ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის გაფართოების ტენდენციას, არამედ, როგორც რუსულ-უკრაინული კონფლიქტი ცხადყოფს, არც ევროკავშირის მიმართ გამოირჩევა კეთილგანწყობით.

ამ ამოცანის ფონზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკა „ბალანსირების" გზით ცდილობს, თავიდან აირიდოს ახალი საფრთხეები, რაც რუსეთის „არ გაღიზიანების" პოლიტიკას გულისხმობს და ამავდროულად, აწარმოოს ეფექტური დიპლომატია როგორც დასავლეთთან, ასევე, უკვე აღმოსავლეთთანაც. მითუმეტეს, რომ ქვეყანას, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ გეგმაში, ოფიციალურ მიზნებად დეკლარირებული აქვს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანება.[3]

ბოლო პერიოდში, დადებითი დინამიკით, საგრძნობლად შეიცვალა, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა და გასულ წელს, საქართველოსა და ჩინეთის მხარეების მიერ, ორმხრივი, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, ერთობლივი განცხადება გამოქვეყნდა. რასაც, მიმდინარე წელს, მოჰყვა თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებები, რაც თავის მხრივ, ახალ ეკონომიკურ და შესაძლოა, პოლიტიკურ ფანჯარასაც უხსნიდეს ქართულ სახელმწიფოს.

დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, ჯერ კიდევ, 1992 წლის 9 ივნისს დამყარდა და მას შემდეგ, ორმხრივი კავშირი თანდათან წინ მიიწევს, რაც ძირითადად ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იყო ორიენტირებული. 2017 წლისთვის, ჩინეთი გახდა საქართველოს მეოთხე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და 2024 წლის

[1] რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006, გვ. 128

[2] იხ. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, https://mfa.gov.ge/national-security-concept

[3] იხ. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, https://mfa.gov.ge/Foreign-Policy-Strategy

იანვარ-მაისის მონაცემებითაც, დასახელებულ ადგილს ინარჩუნებს.[1] გასულ წელს, ჩინეთმა საქართველო მიიჩნია, როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ქვეყანა, შუა დერეფნისთვის. 2023 წლის დასაწყისში ჩინეთის ელჩმა თბილისში საჯაროდ დაუჭირა მხარი სატრანზიტო გზის მშენებლობას და განაცხადა, რომ ჩინური კომპანიები მზად არიან პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად. იმავე წლის ბოლოს, ჩინეთმა და საქართველომ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, სადაც აღნიშნეს „შუა დერეფნის განვითარებისა და გაძლიერების შესახებ“, როგორც ძირითადი საერთო მიზანი. ამას მოჰყვა ჩინეთის სურვილი, მონაწილეობა მიიღოს, საქართველოს ხანგრძლივ მცდელობებში, ანაკლიაში შავი ზღვის სანაპიროზე კომერციული პორტის დაარსების საქმეში.[2]

ჩინეთ-საქართველოს შორის გააქტიურებულმა ურთიერთობამ, ორაზროვანი დამოკიდებულება გააჩინა ადგილობრივ ოპოზიციურ ძალებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებში. ისინი აქტიურად მსჯელობენ ჩინეთ-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობის უარყოფით მხარეებზე,[3] რაც უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების პრობლემასა და ქვეყნის ევროატლანტიკურ პერსპექტივასთან. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ინტერესი ჩინეთთან კავშირების დამყარების შესახებ, ამ ეტაპზე, არ არის ყურადღების ეპიცენტრში ევროკავშირის ლიდერების მხრიდან. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, 2023 წლის ბოლოს მოიპოვა და ევროკავშირის ანგარიში, რომელშიც გარკვეულწილად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებიც იყო მიმოხილული, არ აკრიტიკებდა საქართველოს ურთიერთობას ჩინეთთან.

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის მნიშვნელობა, საინტერესოა გლობალურ ჭრილშიც, რადგან დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სა და ჩინეთის, როგორც ჰეგემონის და აღმასვლის გზაზე მდგომი მთავარი სახელმწიფოს ურთიერთობებს. იდეოლოგიური თუ გეოპოლიტიკური უთანხმოების ფონზე განვითარებულ ურთიერთობებს, საყურადღებო გავლენის მოხდენა შეუძლია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. სახელმწიფოთა კომპლექსურ ურთიერთობებში ისტორიის მანძილზე ვლინდებოდა რიგი დაპირისპირებების და თანამშრომლობის ასპექტები. თუმცა, ყოველთვის მათი ურთიერთობების გარემო კონკურენტულობით ხასიათდებოდა. ამერიკისთვის საფრთხედ აღიქმება ჩინეთის პრეტენზია გახდეს ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. საფრთხის შემცველია ჩინეთის სამხედრო პოტენციალის ზრდა, აღმოსავლეთში პოზიციების გამყარება და მსოფლიოში პირველი მზარდი ეკონომიკა. არსებობს მოლოდინები რომ ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის მასშტაბური ფორმით ძალთა დაბალანსება ან კონკურენცია მოხდება ეკონომიკურ ასპარეზზე და ნაკლებ სავარაუდოა, დიდი სამხედრო დაპირისპირება. მსოფლიოს ახალი შესაძლებლობა დაუბრუნდეს ბიპოლარობას, პოლიტიკური რეალიზმის თეორიტიკოსთა რწმენით, რომელიც „ცივი ომის“ მიერ მოტანილ ისტორიულ გამოცდილებასაც ეყრდნობა, უფრო მშვიდობიანი იქნება, ვიდრე მრავალპოლარული საერთაშორისო წესრიგის შემთხვევაში.[4]

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, საქართველო – დიდი ხნის განმავლობაში მტკიცე დასავლური ორიენტაციის ქვეყანა, სწრაფად ავითარებს, მულტივექტორულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც აღინიშნება არა მხოლოდ ჩინეთთან თანამშრომლობით, ან რუსეთთან «ბალანსირების» პოლიტიკით, არამედ უფრო მცირე მოვლენებითაც, როგორიცაა თურქეთთან უსაფრთხოების თანამშრომლობის გაზრდა.

[1] იხ. საქსტატი, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, https://www.geostat.ge/ka/single-news/3188/sakartvelos-sagareo-vachroba

[2] იხ. კასტელო, 2024: https://www.caspianpolicy.org/research/south-caucasus/georgia-is-improving-relations-with-china-can-it-still-balance-with-europe

[3] იხ. ხიდაშელი, 2023: https://www.freiheit.org/south-caucasus/devil-details
ავდალიანი, 2023: https://carnegieendowment.org/russia-eurasia/politika/2023/08/whats-behind-chinas-strategic-partnership-with-georgia?lang=en

[4] Tcheishvili T., Prospects for the return of the bipolar system, on the example of US-China relations, Current challenges of modern science, №7 (73), 2022, p. 39-41

ფაქტია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა, პოლიტიკური მოცემულობა და მოლოდინები, აჩენს დიდ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის. ერთი მხრივ, ჩრდილოელი მეზობლის ვერ უგულვებელსაყოფი ფაქტორი და მეორე მხრივ, ახალი შესაძლებლობები, საინტერესო და ამავდროულად, რთულ პოლიტიკურ კონფიგურაციას ქმნის საქართველოს წინაშე. თუმცა, ერთი რამ ცხადია, რომ ქართული სახელმწიფოს, მრავალწლიანი პოლიტიკური პერიფერიულობის ეპოქა, შესაძლოა რეგიონული მასშტაბის ცენტრალურობითაც შეიცვალოს, რაზეც მეტყველებს, ევროპისა და აზიის მცდელობა, რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ახალი სავაჭრო გზების აგებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რონდელი ალექსანდრე, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006
2. Tcheishvili Tamta, Prospects for the return of the bipolar system, on the example of US-China relations, current challenges of modern science, №7 (73), 2022, 39-41
3. ავდალიანი, 2023: https://carnegieendowment.org/russia-eurasia/politika/2023/08/whats-behind-chinas-strategic-partnership-with-georgia?lang=en
4. კასტელო, 2024: https://www.caspianpolicy.org/research/south-caucasus/georgia-is-improving-relations-with-china-can-it-still-balance-with-europe
5. ხიდაშელი, 2023: https://www.freiheit.org/south-caucasus/devil-details
6. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, https://mfa.gov.ge/national-security-concept
7. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, https://mfa.gov.ge/Foreign-Policy-Strategy
8. საქსტატი, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, https://www.geostat.ge/ka/single-news/3188/sakartvelos-sagareo-vachroba